დაიჯესტი

27 ნოემბერი - 3 დეკემბერი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

კოლუმბიის მთავრობას და ხუან მანუელ სანტოსს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოიღო.

პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციამ 30 დეკემბერს კოლუმბიაში მოქმედი ნარკოკარტელი, „ახალი მარკეტალია“ ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა.

30 ნოემბერს, მიჩიგანის შტატში ოქსფორდის სასწავლებელზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 4 მოსწავლე გარდაიცვალა. საგამოძიებო უწყებებმა 15 წლის სკოლის მოსწავლე, ითან კრამბლი დანაშაულის ადგილზე დააკავეს.

გაერთიანებული სამეფო

ნეო-ნაცისტური ტერორისტული ორგანიზაცია *National Action-ის* თანადამფუძნებელი, 32 წლის ბენ რეიმონდი, ბრისტოლის სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში დამნაშავედ სცნო.

ერაყი

29 ნოემბერს დაეშის მიერ დიალას პროვინციაში განხორციელებულ თავდასხმას ქურთული უსაფრთხოების ძალების წევრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სირია

30 ნოემბერს რაქაში ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში სირიის დემოკრატიულმა ძალებმა დაეშის ფასილიტატორი დააკავა.

2 დეკემბერს დეირ ალ-ზორში ავტობუსზე განხორციელებულ თავდასხმას სანავთობო კომპანიის 10 თანამშრომლის სიცოცხლე ემსხვერპლა. ახალი ამბების ადგილობრივმა სააგენტო „SANA"-მ მომხდარს ტერორისტული თავდასხმა უწოდა.

ნიგერია

ნიგერიის ცენტრალურ ქალაქ ჯოსში, 29 ნოემბერს ციხეზე თავდასხმის დროს შეიარაღებულმა პირებმა 260-ზე მეტი პატიმარი გაათავისუფლეს.

ახალი ამბების სააგენტო Sahara Reporters-ის თანახმად, დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის მებრძოლებმა ბორნოს შტატის მახლობლად, სოფელ გუმსურიდან 2 დეკემბერს 15 ადამიანი გაიტაცეს.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

28 ნოემბერს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკზე მომხდარ თავდასხმას 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ადგილობრივების განცხადებით, ივოს ბანაკზე მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებელი შეიარაღებული დაჯგუფება *CODECO*-ა.

კენია

კენიის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვის ბრალდებით, 28 ნოემბერს ირანის მოქალაქე, მოჰამად საიდ გოლაბი დააკავეს.

ავღანეთი

თალიბანის თანადამფუძნებლისა და ამჟამად ავღანეთის პრემიერ-მინისტრის, მულლაჰ მოჰამად ჰასან ახუნდის განცხადებით, მისი მთავრობა „არ ჩაერევა“ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში.